სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

ქალ-ვაჟთა სკოლა
## ელენე ლუკას ასულის ზახტაძისა
დ. ხონში
პირველ სექტემბრიდამ ამა 1898 წლისა, ნება-რთვით ბ. კავკასისის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა, გადაკეთებულ იქმნება ოთხ-კლასიან
## საქალებო პროგიმნაზიად
მოსწავლეთა გამოცდა უმცროსს და უფროსს მოსამზადებელ და აგრეთვე პირველ პროგიმნაზიულ კლასებში გაგრძელდება 1-დამ 10 სექტემბრამდე. ეგზამენები იქნება ყოველ-დღე, ნაშუადღევის 2 საათამდის.
თხოვნები უნდა გამოიგზავნოს პროგიმნაზიის უფროსის ელენე ზახტაძის სახელობაზე.
სწავლის საფასური მოსამზადებელში 30, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 50 მან. წელიწადში. (15—2)

ახლად გამართული რესტორანი
## „იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხორაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30—16) პატივისცემით ილია აბრამიშვილი
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины
Ресторанъ «Южные номера» обѣды и ужины, дешевизна




ღვინის სარდაფი
## „იყალთო"
თ. გიორგი დ ლუარსაბ მაყაშვილებისა
გოლოვინის პროსპექტი, თავ. კ. ორბელიანის სახ. № 15, ახალი თეატრის გვერდზე.

ამით აუწყებს საზოგადოებას. რომ ჩვენ გავხსენით საკუთარი მოსავლის ღვინის სარდაფი
## იყალთო
ბოთლი 20 კაპ. ვიდრე 1 მანათამდე,
ვედროთი ფასი დაკლებულია.

**Винный складъ**
Князя Г. и Л. Макаевыхъ
подъ фирмой
## „ИКАЛТО"
Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. К. Орбеліяни, № 15. (75—13)

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ



ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".
ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.
ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)
იაფად და ხმელის მასალისას.
ამზადებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს.
მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.
მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.
პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა
ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—27)

**ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლა.** მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის სკოლაში არის თავისუფალი ვაკანსია 45 I მოსამზადებელ განყოფილებაში. სხვა განყოფილებებში და პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის. შესაძლებელია სექტემბერში მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია, მაშინ დაინიშნება საკონკურსო ეგზამენი და მიღებულ იქმნებიან ისინი, ვინც საუკეთესოდ დაიჭერენ ეგზამენს.

თხოვნა უნდა შემოიტანონ აგვისტოს 30-მდის. თხოვნასთან ერთად საჭიროა შემდეგი საბუთის ქაღალდები: 1. ნათლობის მოწმობა. 2. ყვავილის აცრის მოწმობა და 3. მოწმობა ქუთ. სათავადაზნაურო ბანკიდან, რომ მოწაფის მშობელი ირიცხება ხსენებული ბანკის დამფუძნებელთა შორის.

ხელ-მეორედ ეგზამენი მოხდება 1, 2, 3 და 4 სექტემბერს და მისაღები საკონკურსო ეგზამენი 5 და 7 სექტემბერს.

10 სექტემბრიდამ სკოლა გადადის ივ. პ. ჯაიანის სახლში ლევაშოვის ქუჩაზე. სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს.

ქუთაისის სათ.-აზნ. სკოლის ინსპექტორი ალ. ალ. გარსევანიშვილი

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე· შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი,

საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საჟისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ზ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** **უცნაური გაძარცვა ავაზაკებისაგან აჯიკენტში.** 7 ვერსზე აჯიკენტიდგან (განჯის ახლოს) სოფ. გოზლუხთან მოხთა საოცარი ამბავი 12 აგვისტოს: 14 ეტლით მიმავალნი, ერთი ომნიბუსი და რამდენიმე ფურგუნი ერთ ადგილს შეაჩერეს სულ 6 კაცმა ავაზაკმა და ყველა გაძარცვეს, გარდა ქალებისა. ავაზაკები მანდილოსნებს ძალიან თავაზიანათ მოექცნენ. სულ 100 კაცზე მეტი იქნებოდა და გასაკვირველია 100 კაცის ექვსისაგან გაძარცვა. განჯის პოლიცმეისტრის თანაშემწე ბ. რიახინი და პოლიციის ბოქაული მელიქოსიპიანციც ამ გაძარცულებში ერია. ბ. რიახინმა მოინდომა წინააღმდეგობა, მაგრამ თოფი მიუღირეს და დააშოშმინეს. ფულები, საათები, ძვირფასი ნივთები ყველაფერი ააცალეს მამაკაცებს და მანდილოსნებისაგან -კი არაფერი წაუღიათ.

ერთს ვიღაცას საათი წაართვეს, მაგრამ იმის გვერდით მჯდომ ქალმა სთხოვა ავაზაკს საათი დაებრუნებია. ავაზაკი ეკითხება: განა ეს კაცი კარგი კაციაო? ქალმა მიუგო ძალიან კარგიო, მაშინ ავაზაკს თავაზიანად დაუბრუნებია საათი.

ავაზაკების ბელადს რუსული კარგათ სცოდნია... თან სძარცვავდა ხალხს და თან თავს იმართლებდა თავის მოქმედებაში.

— „თქვენ ღმერთი არა გყავთ, ჩვენ მწყალობელნი და გულ-კეთილნი ვართ, თქვენ-კი მტანჯველები. აი ჩვენ არას გერჩით, არა გკლამთ და თქვენ კი კატორღაში გვაგზავნით.

— არა, თქვენ არა გყოლიათ ღმერთი, უპასუხნია ერთს გაძარცულს—ჩვენ არას გერჩით და თქვენ კი გვძარცვავთ.

— „თქვენ მდიდარი ხართ, ჩვენ კი ღარიბნი—ნებით არაფერს გვაძლევთ, ძალით უნდა წავიღოთ.

როდესაც დაუცალიერეს ყველას ჯიბეები, ბელადმა უბრძანა თავის ავაზაკებს, რომ შემჯდარიყვნენ ცხენებზე და წასულიყვნენ. გაოცებული გაძარცულნი დარჩნენ პირ ღია. პირველი ეტლი დაიძრა პოლიცმეისტრის თანაშემწისა, რომელიც ძალიან გაჩქარებით გაექანა განჯაში და ყოველივე მოახსენა გუბერნატორს. მაშინვე ჯარი და ჩაფრები აფრინეს, მაგრამ აქნობამდე ერთი ავაზაკთაგანიც ვერ დაუჭერიათ.

*** **ქადაგი ოსი.** ქალაქში ერთი ახალგაზდა ოსი დადის, ჩაცმულია ბერულად და სადაც შევა ყველგან ქადაგობს ქრისტეზედ. თურმე ოსეთში რომ მიდის, იქ ხალხს უქადაგებს ხოლმე, მაგრამ ისინი გიჟს ეძახიან და სდევნიან კიდეც. ეუბნება „იწამეთ ქრისტე და თავი დაანებეთ თქვენს ურწმუნოებსაო“, მაგრამ აბა ვინ რას დაუჯერებს გიჟად წოდებულს. სიგიჟე არასფერში არ ეტყობა; კითხულობს წმინდათ, სწერავს რუსულ-ქართულად თავისუფლად და რუსულიდან ქართულად სთარგმნის.

*** **ს. ჭკადუაში** (სამეგრელო) **მკვიდრთა გაჭირვება.** ს. ჭკადუაში მდებარეობს 17—18 ვერსის მანძილზე დაბა ზუგდიდიდან. ხალხი აქ უფრო მუშა გლეხობაა, რომელიც ამ ჟამად ძალიან დაღარიბებულია, რადგან უმთავრესს სახსარს იქაურებისას შეადგენდა სიმინდი და სიმინდს ფასი ახლა აქ აღარ აქვს. სიღარიბე და გაჭირვება აქაურ მკვიდრთა ამ ჟამად იმ ზომამდის არის მიხწეული, რომ სახელმწიფო გადასახადი ორი წელია, რაც ნახევარზე მეტს არ გადუხდია. საცოდავი სანახავი იყო ღარიბი გლეხები, რომლებსაც გადასახადისათვის უყიდდნენ ყველაფერს, რაც-კი ებადათ...

ქაჯანა მეთვალყურე

*** **დ. გუდაუთი** (აფხაზეთი). **მთავრობის განკარგულებანი.** 2 აგვისტოს აქ მობრძანდა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენ.-მაიორი სამოილოვი, რომელსაც თან მოჰყვნენ ჯარი კურინსკის მეორე პოლკისა. საღამოს რვა საათზე რუსეთის სავაჭრო გემი „ნიკოლოზი“ გაჩერებული იყო ღუზაზე. ბნელს, უმთვარო ღამეში მშვიდობით გამოვიდნენ ზღვიდან, რის შემდეგაც ბ. სამოილოვი მიპატიჟებულ იქმნა მხლებლებითურთ გუდაუთის მოვაჭრეთაგან. მეორე დღეს ბ-ნმა სამოილოვმა მოიხმო ყველა მამასახლისები და უფრო გამოცდილი პირები და შემდეგი წინადადება მისცა: სამ დღეში შეკრიბონ ყოველივე იარაღები აწერილ სიებით და თავიანთ სასოფლო კანცელარიებში დაცულ იქმნას. მამასახლისები შეუდგნენ სისრულეში საქმის მოყვანას.

ბ-ნი სამოილოვი ჯარითურთ გაემგზავრა ს. ლიხნში, რომელიც ორი ვერსის მანძილზე ახლავს გუდაუთს და იქაურს ტაძარში მან მოისმინა წირვა; შემდეგ წირვისა ადგილობრივმა მღვდ. მამა ლაქირბაიამ ამღერა თავისი მოწაფეები და უამბო გუბერნატორს ყველაფერი აფხაზების შესახებ. შემდეგ სადილისა ბ-ნმა სამოილოვმა დაათვალიერა ჩამოხდილი იარაღები და ბრძანა გუდაუთს გაგზავნა. შემდეგ ამისა გაემგზავრა დანარჩენს სოფლებშიაც. საღამოზე სამი ურმით მოიტანეს იარაღები, ბერდანკები და ამერიკის რევოლვერები, ხმლები და ხანჯლები, შეფასებული 8,167 მან. ფიცხელი ბრძანება შეიპყრან ფირალები ალტაჩიბი, ბარციცი და ოსმალოს ქვეშევრდომი რეჯებ ქოროღლი.

ნაღარა

*** **ს. ქარელი** (ქართლი). **კაცის კვლა.** 15 აგვისტოს სოფ. ქარელში რევოლვერით მოჰკლა ქარელში მცხოვრებელმა თავ. მიხეილ დავითის ძე ციციშვილმა თავისი გლეხი ოქროლოფელში მცხოვრები თედო ბესთავაშვილი. დაწვრილებით მერე იქნება მოხსენებული. ადგილობრივმა ბოქაულმა ოქმი შეაყენა და გადასცა სურამის გამომძიებელს. საქმე სწარმოებს.

ზეუბნელი

*** **ოზურგეთი. ანგარიშის გამოცხადება.** ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ პატივცემულს თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ ანგარიში საქველ-მოქმედო მიზნით ჩემ მიერ გამართულის წარმოდგენისა ამ წლის 27 ივანობისთვეს ქ. ოზურგეთში სცენის-მოყვარეთა დახმარებით. შემოსავალი დანიშნული იყო შემოქმედის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ.

შემოსავალი. ბილეთების გაყიდვიდან შემოვიდა—96 მ. 40 კ.

ხარჯი. სკოლის სასარგებლოდ სახლის ქირათ მიეცით 10 მან., აფიშების და ბილეთების დაბეჭდვა 5 მან., პარიკმახერს—3 მ., მარკების ფული 9 მ. 83 კ., მუშებს სცენის მოსაწყობად 4 მ. 55 კ., დანარჩენი წვრილმანი ხარჯი—13 მან. 47 კ.

ხარჯს გარეშე დარჩა 50 მ. 55 კაპ., რომელიც დანიშნულებისამებრ გადავეცი წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეს მღვდელს მ. ხარიტონ ჩხატარაიშვილს.

დასასრულ დიდს მადლობას ვუძღვნი სცენის-მოყვარეთ, რომელთაც არ დაიშურეს თავისი შრომა ამ კეთილი საქმისათვის, მანდილოსნებს, რომელთაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინეს ბილეთების გასყიდვაში და ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი არ დაიშურეს ამ კეთილი საქმისათვის.

წარმოდგენის გამგე თავადის ასული ეკატერინე გურიელის ქალი

*** **ს. ნაესაკოვო. წიგნთ-საცავ-სამკითხველოს საჭიროება.** ჩვენი სოფელი სწავლა-განათლებით უკან არ ჩამორჩება სხვა სოფლებს, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ არავის უფიქრნია წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დაარსების შესახებ, თუმცა-ღა დიდი ხნის წინად საჭირო იყო, რომ ეზრუნა ვისმეს. ყოველ საზოგადოებაში მონდომებულნი არიან ყველა ყმაწვილ-კაცები, რომ რაიმე სასარგებლო დაწესებულება დაიარსონ თავიანთ საზოგადოებაში და მით გაანცონ ყველა მდაბალი ხალხი ავ-კარგს. მხოლოდ ამ ჩვენ ნაესაკოვის საზოგადოებას არაფერი ეშველა და არ საიდან უნდა ეშველოს, თუ კი არავინ იფიქრებს რამეს. აქ უმეტეს სასარგებლოდ მიაჩნიათ უგზო-უკვლოდ ფულის ხარჯვა და უსარგებლოდ დროს ტარება.

— **ამინდი.** საზარელი წვიმების შემწეობით ჭირნახულობა მთლად გატიალდა; სიმინდი და ბალახი ისეა გასწორებული, რომ ვერ გამოიცნობთ პირველს მეორესაგან. აქაური გლეხების ვილის გადამხდელი, სარჩო და ყოველი იმედი სიმინდი არის და წლეულს თ... სიმინდის მოსავალი მთლად გაფუ... ჭდა, რასაკვირველია, კარგი დღე არ დაგვადგება.

ალექსანდრე ნაესაკოველი

**მისაბაძი ჯორი.** იმერეთის ერთი საზოგადოების მამასახლისი, ჯორით გაემგზავრა თავისი საზოგადოების სოფლების დასათვალიერებლად. ერთის სოფელში, ჩვეულებისამებრ, მამასახლისის კარგათ გაუმასპინძლდნენ, ყველამ ძღვენი მოართვა და გამართეს სმა. მამასახლისიც, რასაკვირველია, ის მაღიანათ მიაძღა სადილს და როგორც სსმლის მოყვარული კაცი, ღვინითაც ძალიან გაიჟღენთა. ყველა მოსუფრე, როგორც თავიანთ უფროსს მამასახლისს და უცხო სტუმარს, გულუხვათ ექცეოდნენ და როდესაც ჭიქით ღვინოს მიაწვდიდნენ, თან ხვეწნას დასძენდნენ ხოლმე: „შენი ჭირიმე მამასახლისო? თუ ჩვენი ხათრი და სიყვარული გაქვს, ეგ სულ უნდა გამოცალო.“ მამასახლისმაც, როგორც ქართველების ჩვეულებაა, ცალა და ცალა ღვინით სავსე ჭიქები რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძალიან დაითრო, გრძნობა დაკარგა და მიეძინა იქვე მკვდარივით... მეორე დილით ადგა, ნაცემივით. დამტვრეულ- დაჟარული ის გაუდგა თავის ჯორით გზას. გზაში ჯორს წყალი დაალევინა, ჯორმა, რომ წყლით გული მოიძღო და აღარ სვამდა, მამასახლისმა ხვეწნა დაუწყო: „თუ ჩემი ხათრი გაქვს ჩემო ჯორო, კარგი ანკარა წყალია და კიდევ დალიეო.“ ჯორი მაინც გაჩერებული იყო თავისებურათ. მამასახლისი კიდევ ბევრს ვხვეწა, ემუდარა, რომ ჩემი გულისთვის დალიეო, მაგრამ ჯორმა მაინც არ შეიწყნარა პატრონის

თხოვნა. მამასახლისმა იგრძნო თავისი დანაშაულობა და სთქვა: „აფსუს ჩემო ჯორუკა, რომ შენ მამასახლისი არ ხარ და მე შენისთანა ჭკვიანი ჯორი.“ მე შენი პატრონი, შენი მომვლელი და შენი მოსიყვარულე, რამდენს გეხვეწები, რამდენს გემუდარები, რომ დალიე მეთქი, შენ კი, რაც არ გინდა იმაზედ მეტი, ერთი ცვარიც ვერ დაგალევინე და მე კი, წუხანდელი დამეს სმით მომკლეს, დღეს მკვდარივით ვარ რა მგონი ამ ერთ კვირესაც, ვერ გამოვდგეო“?!

მედავითნე სერგო.

## რედაქციისაგან

ჩვენ მოგვივიდა შემდეგი ხელ-მოწერილი ბარათი:

„ვმოწმობთ, რომ ყველა ის ამბავი, რასაც ბ. კორესპონდენტი «tusci» მკითხველ საზოგადოებას ატყობინებს შესახებ შემოქმედის უფასო სამკითხველოისა («ცნ. ფურცლის“ 603 №-ში), სიმართლეს მოკლებულია.

შემოქმედის ორ-კლასიანი სკოლის ზედამხედველი სილოვან წაქაძე.

ამავე სკოლის მასწავლებელი გრიგოლ დ. დოლიძე».

ამ წერილზე შემოქმედის საზოგიდოების მამასახლისიც ხელს აწერს.

## თეატრის მატიანე

**ქ. თელავი.** ქართული წარმოდგენა. კვირას, 9 აგვისტოს თელავის თეატრში გამართული იყო ქართული წარმოდგენა ბ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილ იქმნა „კინი“ ნათარგმნი დრამა ვ. გუნიასი. უმთავრეს როლებს ასრულებდნენ „კინს“, ბ. ალექსი-მესხიშვილი, პრინც უელსისას—ბ. ვახვახოვი. კეფელს—ზურაბიშვილი, ლორდ მელვილს—ბ. აჯიმამუდოვი, სუფლიორს—ბ. აწყურელი, და კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. ქალებში მონაწილეობას იღებდნენ ქქ. დიდებულიძისა, გამყრელიძისა და გვეტაძისა, უნდა სისწორით ვაღიაროთ, რომ სამივე ქალები სუსტობდნენ; აგრეთვე ძალიან სუსტობდა და თავის მოუხდენელის თამაშობით ხელს უშლიდა პრინცი უელსისა“ ალექსი-მესხიშვილის თამაშს. არ შეგვიძლიან არ დავემდუროთ ბბ. მეთაურთ, რომ არ ათამაშეს ვიქტორ გამყრელიძე, რომელსაც თელაველ მსახიობთა შორის პირველი ადგილი უჭირავს თავის როლებში. ბ. ალექსი-მესხიშვილის თამაშმა ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. 13 აგვისტოს დანიშნული იყო უკანასკნელი წარმოდგენა ბ. ალექსი-მესხიშვილის საბენეფისოდ, ითამაშეს „ურიელ აკოსტა“, თხზ. გუცკოვისა.

**დ. ზესტაფონი.** ქართული წარმოდგენა. ჩვენმა ახალგაზდებმა ქართული თეატრი დაგვიარსეს. ძნელად თუ სადმე შეხვდეთ პროვინციაში ასეთს კოპწია თეატრს: მშვენიერი სცენა კარგის ფარდით, სცენაზე ერთი ოთახი, ერთიც ტყე, მაგიდა, სკამები, მდივნები; თვით თეატრში შვიდი მდივანია (ორი ლოჟა), ორი დუჟინი ქსელის სკამები და სხვა გრძელი ხის სკამები, ზოგი გადაკრული „ზღვის ბალახით“, ზოგიც გადაუკრავი; ყველა ეს ამ ცოტა ხანში მოხდა, რაც ამტკიცებს ამ ახალგაზდების საქმის სიყვარულს, კარგა ბლომა ფულიც გაუღიათ. დამაარსებლები დიდი მადლობისა და თანაგრძნობის ღირსნი არიან; საზოგადოება უთუოდ დააფასებს კარგს საქმეს.

9 აგვისტოს ბ. ვ. ბალანჩივაძისა და ქ-ნი ნ. ჩხეიძის მეთაურობით და აქაური სცენის მოყვარეთა დახმარებით წინანდებურად გაიმართა წარმოდგენა. 2 აგვისტოის წარმოდგენის უხეირობამ გვეგონა დააშინა საზოგადოება, მაგრამ თეატრი მაინც გაიჭედა მაყურებლებით. არ გვწყალობს მხოლოდ ღამის „მსხვილი ინტელიგენცია“ და ჩვეულებრივ არც ამ წარმოდგენაზე დაგვინახავს. ითამაშეს დიაჩენკოს სამ მოქმედებიანი კომედია „მოულოდნელი შემთხვევა“, ანუ „მსხვერპლი მსხვერპლისათვის“, თარგ. ხარაზოვისა და აკაკის ვოდევილი „ბუტიაობა“. პირველმა პიესამ მწყობრად ჩაიარა. ბ-ნ ბალანჩივაძემ მაწანწალა სიმონ ბრახვანიძის როლი მშვენივრად შეასრულა; სწორედ უკვდავი გოგოლის ხლესტაკოვს მოგაგონებდა! ხოლო სცენა, სადაც ბრახვანიძე იპარავს მამულაძის ორმოც და ათას მანათს, ჩვენ გადაჭარბებულად მიგვაჩნია: არა გვგონია, რომ ისეთს მაწანწალა და გაიძვერა კაცს, როგორიც ბრახვანაძეა, სინიდისმა ისე დაუწყოს ქენჯნა, რომ გულიც წაუვიდეს და შიშით ფეხი ვეღარ მოიცვალოს, საბოლოოდ გიჟს დაემსგავსოს და იმავე წამს უცებ სრულიად დამშვიდდეს და ფულებით ერთად თავისი ოთახისაკენ გასწიოს, როგორც ეს ბ. ბალანჩივაძემ დაგვიხატა.

ბედიევის როლის მოთამაშის სიტყვებს ხშირად ვერ ვარჩევდით: სცენაზედ საჭიროა მკაფიო გამოთქმა და აუჩქარებლობა.

ბ-ნმა კ. კაცხელმა საფრანგეთში ნამყოფი ქარაფშუტა ცერცეტაძე მშვენივრად დაგვისურათა. დანარჩენებმა თავ-თავიანთი როლები მწყდბრად ჩაატარეს. სამაგიეროდ მეორე პიესა ღმერთმა შეინახოს! რომ ბ-ნი ბალანჩივაძე და ქ-ნი ნ. ჩხეიძე არ ყოფილიყვნენ მოსამსახურეების როლებში, თქვენი მტერია! ამ ორმა პირმა თავ-თავიანთი როლები სამაგალითოდ შეასრულეს. ქ-ნი ოლ. ბაქრაძე წინანდელზედ უკეთესად თამაშობს, ეტყობა მეტი გამბედაობა, სჩანს სცენას ეჩვევა. ნ. ჩხეიძეს, რომელიც მეორეჯერ გვესტუმრა ყვირილაში, პატარა საჩუქარიც მიართვეს აქაურებმა, იმ აზრით, რომ; „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირება“-ო.

ერთი საზოგადო შენიშვნაც თეატრის გამგეობას: აფიშებზედ გამგედ ა. არაბიძე ეწერა, ჩვენ კი თვალითაც არ გვინახავს გამგე, რის გამო თეატრში თქვენი მოწონებული უწესოება სუფევდა, რაც საზოგადოებას გულს უცრუებს. აუცილებელი საჭიროა წეს-რიგის სასტიკად დაცვა, რომ თვით საზოგადოებაც პატივისცემით ეპყრობოდეს თეატრს.

ქუთათური ქალი

## სამეურნეო ცნობა

### საზოგადო ბაღოსნობის სწავლა და მისი შედეგი

(უძღვნი კურსისტებს—მასწავლებლებს)

(გაგრძელება. იხ. «ცნ. ფურც.» № 595)

**თესლის გარეთი კანის დანიშნულება და შინაგანი ნაწილების გამორკვევა.** როგორც ზევითა ვსთქვით, მარცვალში წყალი ჩადის მიკროფილედგან და თვალთუჩინარი ხვრელებიდგან, აგრეთვე ენდოსმოზის ძალით, მაგრამ ის კი არ გვითქვამს, თუ გარეთ კანს რა დანიშნულება აქვს მარცვლისთვის. ამას შემდეგი ცდიდგან გავიგებთ: ავიღოთ რამდენიმე კან მოშორებული მუხუდოს მარცვალი და წყალში ჩავაგდოთ (ადუღებული და შემდეგ გაცივებული წყალი უკეთესია გამოსაცდელად). რამდენიმე ხნის შემდეგ თუ გამოვიძიეთ ის წყალი, რომელშიაც მარცვალი იყო შიგ, იმისთანა ნაწილებს ვნახავთ, რომელნიც აქამდის იმ წყალში არ იყვნენ; ეს ნაწილები არის ორგანიული და მადნეული ნივთები, რომელნიც გამოსაცდელ მარცვლებში იყო. ამ აზრს ამოწმებს შემდეგი ცდა: ავიღოთ რამდენიმე მარცვალი და ავწონოთ; ვთქვათ იწონს ათ მისხალს; შემდეგ წყალში ჩავაგდოთ და შიგ დავტოვოთ მინამ გასივდება როგორც რიგია, შემდეგ ამოვიღოთ წყლიდგან, გავახმოდ უწინდებურად და ხელ-მეორედ ავწონოთ, ვთქვათ მაშინ იწონს ცხრა მისხალს, ეს დანაკლისი ერთი მისხალი ის ნაწილებია რომ გამოვიძიოთ, შევატყობთ, რომ მარცვალს იმისთანა ნაწილები მოშორებია, რომ უიმისოდ მარცვალი არსად არ ვარგა. ეს ნაწილები არის კალი (K), ფოსფორი (Pr), და სხვა. აქედან გავიგეთ რა დანიშნულება აქვს კანს მარცვლებისთვის და მომავალი მცენარეებისათვის. დიდი მნიშვნელობა აქვს კანს აგრეთვე იმითაც, რომ თესლს ინახავს.

**სითბოს გავლენა თესლის ამოსვლაზედ.** თესლის ამოსვლისთვის აუცილებელი საჭიროა სითბო. ის სითბო, რომელიც თესლის ამოსასვლელად არის საჭირო, ასე ვთქვათ თესლის ორ ფსკერ შუა იმყოფება. ამ ორ ფსკერ შუა იმისთანა სითბო არის, (ტემპერატურა), რომლითაც ყველაზე უკეთ ამოდის თესლი. ამ სითბოს ეძახიან უკეთესს optimum ტემპერატურას, დაბალ ტემპერატურას ეძახიან minimum-ს (უმცირესს) და მაღალს maxsimum-ს (უაღრესს). მაშასადამე „უკეთესი“ არის minimum-სა და maxsimum-ს შუა. მაგალითად სიმინდისათვის უკეთესი ტემპერატურა არის $33,5^{\circ}$, minimnm-ი (უმცირესი) $9,5^{\circ}$, maxim-ი (უაღრესი) $46^{\circ}$; ლობიოსთვის optim—$32^{\circ}$, minim, $-10^{\circ}$ max.—37; მუხუდოსთვის—optim. $-30^{\circ},2_{,,}$— max . — minmi . $-35^{\circ}$. Minimum-ები მეტად იცვლება, ვიდრე maximum-ები. ასე, პირველი იცვლება $0^{\circ}$—$15^{\circ}$ შუა, მეორე—$35^{\circ}$—$40^{\circ}$ შუა. რასაკვირველია, minimum-ის ცვლილება $0^{\circ}$—$15^{\circ}$ არ არის საზოგადო კანონი ყველა მცენარეებისათვის, მაგალითად, ტროპიკულ მცენარეებისათვის მინიმუმის ცვლილება მეტია. ეს ცვლილება უფრო შესამჩნევია იმ მცენარეებისათვის, რომლებსაც უფრო ფართო მინდორი უჭირავთ დედამიწაზე ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე. ავიღოთ მაგალითად კანაფი, minim. ტემპერატურა, რომელშიაც კანაფი ამოდის$=1^{\circ}$, max $=45^{\circ}$, დანარჩენი იქნება—$45^{\circ}$—$1^{\circ}=44^{\circ}$, მაშინ, როდესაც გვენაგელჩაკისათვის დანარჩენი არის $35-14-21^{\circ}$. ($35^{\circ}=$max., $14=$ minim.). კავკასიის მცენარეების min-ი ნაკლებია ტროპიკული მცენარეების min-ზე. მაშინ, როდესაც ჩვენებური მცენარეებისა და ტროპიკულ მცენარეების maxsimun-ის განსხვავება სულ ცოტაა. შემჩნეულია, რომ თუ ტემპერატურამ არ იმატა maximum-ზე—მცენარე კარგად ამოდის და ნაყრი იზრდება, თუ ტემპერატურა მეტია maximum-ზე—მცენარე ფუჭდება. გამოცდილებამ აჩვენა, რომ რამდენიც maximum-ი ნაკლებია, იმდენი საშიშია ტემპერატურის გადაცილება maximum-ზე. რაც შეეხება min-ს, ამაზე ნაკლები ტემპერატურა თუმცა და არ არის მავნებელი მცენარის ამოსვლისათვის, მაგრამ ერთობ აგვიანებს

ნაყრის გაზრდას და მცენარის ამოსვლას. შესაძლებელია ზოგიერთმა ვერ აიტანოს ამისთანა ცვლილება, მაგრამ 5—10 დიდი მნიშვნელობა არა აქვს 1000 მარცვალთან.

საზოგადოდ, რამდენიც ნაკლებია minimum-ი, იმდენად უფრო ნაკლებად საშიშია ტემპერატურის optimum-ზე აწევა და დაწევა ერთი და იგივე რიცხვი გრადუსით მინიმუმსა და მაქსიმუმს შუა მარტო თესლს ამოსვლას უბრკოლებს, რადგანაც მინიმუმი შორს დგას ოპტიმუმზე, ვიდრე ამ უკანასკნელიდან მაქსიმუმი; მაგალითად სიმინდისთვის მინიმუმი=9,5°, ოპტიმუმი=33,5°, მაქსიმუმი=46. განსხვავება აქვს მინიმუმსა და ოპტიმუმს შუა—33,5—9,5=24, ოპტიმუმსა და მაქსიმუმს შუა=46—33,5=12,5°. აქედან ჩანს რომ მინიმუმი უფრო შორს სდგას ოპტიმუმ—ზედ 24—12, 5°=11, 5°, აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ რამდენიც უფრო შორს სდგას მაქსიმუმ-ი ოპტიმუმ—ზე—იმდენი ნაკლებ საშიშია ტემპერატურის ცვლილება სითბოსი თუ სიცივისა. აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მაქსიმუმი იცვლება ჰაერის სინოტიესაგან: თუ ნოტიო არის—მაქსიმუმ-ი ნაკლებია თუ მშრალია—მეტია.

ნ. კურნალი

(შემდეგი იქნება)

# განცხადებანი


## ეფედრა

[კუზმიჩის ბალახი]

მსურველთ ეგზავნება ახალი ამ წლის მაისში მოკრეფილი, უმაღლესის ხარისხისა, რჩეული და ყვავილიანი გირვანქა 5 მან., 1/2 გირვანქა 2 მან. 50 კაპ. ხოლო პირველი ხარისხისა გირვანქა 3 მ., 1/2 გირვანქა 1 მ. 50 კაპ. (ეგ ფასი გაუგზავნელად არის) გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც.

ადრესი: უმთავრესი საწყობი ეფედრისა გრიგორი ეფიმის ძე ეფრემოვი, ქალაქ ბუზულუკში, სამარის გუბერნიაში.

ამ ფირმას აქვს მრავალი მადლობის წერილები ეფედრის კარგს თვისებასა და ღირსებაზე.

**ЭФЕДРА**

(трава кузмича)

главный складъ эфедры Григорія Ефимовича **Ефремова**, г. Бузулукъ, Самарской губерніи.

(30—15)

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ლუფიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

**ბ. მ. მირიმანიანისა**

**Музыкальное депо**

**Б. М. Мириманіана**

Тифлисъ, Дворцов. ул.

(54—41)

გამოვიდა და ისყიდება, ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც, ცხოვრება წმ. ქალწულ მოწამისა

**მარინესი**

გამოცემა მორჩილის რ. ბარამიძისა

ფასი ერთი შაური (10—6)

## ქართული რვეულები

დედა-ენასთან სახმარებელი, პირველი და მეორე ნომერი, იყიდება წერა-კითხვის მაღაზიაში; ფასი 4 კაპეიკი ვინც ასობით იყიდის, იმას თითო რვეული დაუთმობა 3 3/4 კაპეიკად. მყიდველებმა ქუთაისში უნდა მიმართონ ბეჟანიშვილის მაღაზიას და ხონში ილ. ბახტაძის წიგნის მაღაზიას. (8—3)

## საზღვევი საზოგადოება „იაკორი"

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს მოსკოვში

ტფილისის უმთავრესი სააგენტო ღებულობს

**დაზღვევას ცეცხლისაგან**

ყოველ-გვარ უძრავ და მოძრავ ქონებისას.

**დაზღვევას სიცოცხლისა და თანხებისა**

შეღავათიანი პირობებით, მაგალითად შეღავათი იმ შემთხვევაში, როცა დაზღვეულს ზრდა არ შეუძლიათ და აგრეთვე დაზღვეულს სარგებლობა ეძლევა საზოგადოების მოგებიდან

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

მიიღებიან საერთოდ დაზღვევა მუშებისა, ქარხნებსა და სახელოსნოებში, აგრეთვე დაზღვევა კერძო პირებისა

**დაზღვევა ბარგისა საქონლებისა**

ზღვაზედ, მდინარეებზედ თუ ხმელეთზედ, აგრეთვე დაზღვევა გემებისა

თხოვნებით და ყოველ-გვარ ცნობათა მისაღებად დაზღვევაზე შეიძლება მიმართონ ტფილისის კონტორაში უმთავრესს აგენტს ალექსანდრე გრიგოლის-ძეს სერგეევს, ერევნის მოედანზე თავ. ციციშვილის სახლებში № 2. და აგრეთვე მოსკოვში საზოგადოების გამგეობაში.

**Страховое Общество „ЯКОРЬ"**

**Высочайше утвержденное въ 1872 г. въ Москвѣ**

**Принимаетъ:** 1) Страхованіе отъ огня, 2) страхованіе жизни и капиталовъ, 3) страхованіе отъ несчастныхъ случаевъ и 4) страхованіе транспортовъ.

**Контора Тифлисскаго Главнаго Агента Александра Григорьевича Сергѣева**

на углу Эриванской пл. д. кн. Цицiанова № 2. (50—39)

შპალერების საწყობი

## ი. გ. მელიქიშვილისა

ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102

ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი

ფასი ყველაფერზე იაფია

შპალერი თვითო ნაჭერი 8 კპ. მოყოლებული 20 მანათამდე

ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასაწყობი სამკაულები.

**Депо обоевъ**

## I. Г. МЕЛИКОВА

Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100—41)

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ общ. взаимн. сельхоз. кредита и препод. школы садоводства.**

### Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный,** при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—37)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Августа 1898г. სტ. „ცნ. ფურც." (ვ. გუნიასი), სას. ქ. სათ.-აზ. ქარვ. რედაქტორ-გამომცემელი ვ. გუნია